2020 წლის ბუკში Microsoft 365-ის ანგარიშით შესვლა

პირველკლასელის ბუკში შესვლა EMIS ანგარიშის ნაცვლად შეგიძლიათ პირველკლასელი მოსწავლის Microsoft 365-ის ანგარიშითაც (@students.gov.ge ანგარიში), რის შემდეგადაც ისეთ დამატებით ბენეფიტებს მიიღებთ, როგორიცაა:

- Windows 10 Professional განახლება Windows 10 Education ვერსიამდე
- Office 2019 შეიცვლება Office 365 Apps for Enterprise ვერსიით, რომელიც გაცილებით მეტად ფუნქციონალური და განახლებადია და ასევე შეიცავს **Microsoft Teams-ის** ბოლო ვერსიასაც.
- სისტემაში დაინსტალირდება Minecraft for Education

1. სისტემაში პირველკლასელი მოსწავლის ანგარიშით შესასვლელად კომპიუტერის ჩართვისას, ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში დააჭირეთ ღილაკს **Other user.**
2. პირველ ველში შეიყვანეთ მოსწავლის ელ. ფოსტა სრულად, მაგ: Gvari.sakheli@students.gov.ge, ხოლო მეორე ველში შეიყვანეთ პაროლი
3. გაითვალისწინეთ, რომ სისტემაში პირველად შესვლისას, საჭიროა, გქონდეთ კავშირი ინტერნეტთან და მოსწავლის ანგარიშის პირველადი, დროებითი პაროლი უკვე შეცვლილი იყოს https://email.mes.gov.ge -დან, მოცემული ინსტრუქციის მიხედვით (https://bit.ly/3kelBlH)
4. აგრეთვე გაითვალისწინეთ, რომ დოკუმენტში აღწერილი მეთოდით ბუკში მოსწავლის ანგარიშით შესვლა შესაძლებელია მხოლოდ 2020 წელს მიღებულ ან უფრო ახალ კომპიუტერებში.